

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქ. ახალქალაქში აღმაშენებლის ქ. #119 მდებარე IV სასწავლო კორპუსის სარეაბილიტაციო სამუშაოების დასამუშავებელი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის

საპროექტო დავალება

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქ. ახალქალაქში აღმაშენებლის ქ. #119 მდებარე IV სასწავლო კორპუსის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესადგენი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამკვეთია სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის IV სასწავლო კორპუსი მდებარეობს ქ. ახალქალაქში მისამართზე დავით აღმაშენებლის ქ. #119

IV სასწავლო კორპუსის შენობა ორსართულიანია, რომელიც ორსართულიანი დერეფნით დაკავშირებულია სპორტდარბაზის შენობასთან.

საპროექტო ორგანიზაცია ვალდებულია შეისწავლოს შენობის ტექნიკური მდგომარეობა და წარმოადგინოს შესაბამისი დასკვნა.

საპროექტო ორგანიზაციამ უნდა შეასრულოს შენობის ფაქტიური მდგომარეობის აზომვითი ნახაზები და დაამუშაოს სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

საპროექტო ორგანიზაციამ სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში უნდა გაითვალისწინოს შემდეგი პარამეტრები:

1. IV სასწავლო კორპუსი ადაპტირებული იქნას უნარშეზღუდულთათვის.
უნარშეზღუდულთათვის გათვალისწინებული იქნას მოქმედი ნორმების შესაბამისი პანდუსი.
უნარშეზღუდულთათვის შენობის პირველ სართულზე გათვალისწინებული იქნას მოქმედი ნორმების შესაბამისი სანიტარული კვანძები
2. IV სასწავლო კორპუსში იქნას გათვალისწინებული არანაკლებ 6 (ექვსი) სალექციო აუდიტორია (თითოეულ სართულზე სამი აუდიტორია) 40-45 სტუდენტზე და არანაკლებ 16(თექვსმეტი) სასემინარო აუდიტორია (თითოეულ სართულზე რვა აუდიტორია) 20-25 სტუდენტზე
3. თითოეულ სართულზე იქნას გათვალისწინებული ერთი დეკანის, ერთი დეკანის მოადგილის, ერთი ხარისხის მართვის სამსახურის, ერთი საპროფესორო ოთახი
4. შენობის მეორე სართულზე გათვალისწინებული იყოს რექტორის კაბინეტი მოსასვენებელი ოთახით და სანკვანძით
5. შენობის მეორე სართულზე გათვალისწინებული იქნას რექტორის მოადგილის კაბინეტი
 - შენობის პირველ სართულზე იქნას გათვალისწინებული საკონფერენციო დარბაზი მინიმუმ 100(ასი) კაცზე
 - შენობის პირველ სართულზე იქნას გათვალისწინებული კლუბი მინიმუმ 100(ასი) კაცზე
 - შენობის პირველ სართულზე იქნას გათვალისწინებული სასადილო მინიმუმ 40(ორმოცი) კაცზე
6. შენობის შიდა კედლები გაილესოს გაჯით, ხოლო სანიტარული კვანძები და საქვაბე ქვიშა-ცემენტის ხსნარით. შიდა კედლები შეიღებოს მაღალხარისხოვანი წყალემულსიის საღებავით.

7. შენობის ფასადი გაილესოს ქვიშა-ცემენტის ხსნარით და შეღებვა მოხდეს მაღალხარისხოვანი ნესტგამძლე წყალემულსიის საღებავით.

8. აუდიტორიებში (ოთახებში) მოეწყოს მდფ-ის შესასვლელი კარებები, რომლებიც აუცილებლად უნდა იღებოდეს ოთახის შიგნიდან გარეთ.

9. ორივე სართულზე მოეწყოს სანიტარული კვანძები ცალკე-ცალკე გოგონებისა და ვაჟებისთვის, ასევე აკადემიური პერსონალისთვის ცალკე-ცალკე.

სანიტარულ კვანძებში მოეწყოს მეტალოპლასტმასის შესასვლელი კარებები, რომლებიც აუცილებლად უნდა იღებოდეს შიგნიდან გარეთ.

10. სართულებზე კიბის უჯრედები გამოყოფილი უნდა იქნეს დერეფნებისგან ხანძარსაწინააღმდეგო ნორმებიდან გამომდინარე იზოალუმინის კარით.

პირველ სართულზე შენობაში შესასვლელი კარებები მოეწყოს ხანძარსაწინააღმდეგო ნორმებიდან გამომდინარე იზოალუმინისგან.

ხანძარსაწინააღმდეგო ნორმებიდან გამომდინარე გათვალისწინებული უნდა იქნეს ყოველ სართულზე მინიმუმ ორი სახანძრო ჰიდრანტი დერეფნებში .

11. შენობის ფანჯრები მოეწყოს მეტალოპლასტმასისაგან.

12. მეორე სართულის იატაკები ოთახებში მოეწყოს ლამინირებული პარკეტისაგან ფანერის ფენაზე, ხოლო პირველი სართულის იატაკები ლამინირებული პარკეტისაგან ხის ფენაზე.

იატაკები სანიტარულ კვანძებში მოეწყოს კერამიკული ფილებით.

იატაკები მეორე სართულის დერეფნებში მოეწყოს ხელოვნური გრანიტის ფილებისაგან, ხოლო პირველ სართულზე იატაკები ლამინირებული პარკეტისაგან ხის ფენაზე და ხელოვნური გრანიტის ფილებისაგან.

13. მოეწყოს შენობის ახალი სახურავი და გადაიხუროს პროფილირებული თუნუქის ფურცლებისგან.

14. შენობაში შეიცვალოს წყალსადენის, კანალიზაციის, გათბობის, ელექტრომომარაგების შიდა ქსელები.

ყოველ სართულზე გაკეთდეს პლათონები წარწერებით "გასასვლელი" და "საევაკუაციო გასასვლელი"

15. შენობის წყალმომარაგების უზრუნველსაყოფად გათვალისწინებულ იქნეს წყალსადენის გარე ქსელის მოწყობა.

16. შენობის კანალიზაციის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებულ იქნეს კანალიზაციის გარე ქსელის მოწყობა.

17. შენობის ელექტრომომარაგების უზრუნველსაყოფად გათვალისწინებულ იქნეს ელექტრომომარაგების გარე ქსელის მოწყობა არსებული სატრანსფორმატორო ქვესადგურიდან.

18. შენობის გათბობისათვის გათვალისწინებულ იქნეს სამ ქვაბზე ცალკე მდგომი საქვაბის მშენებლობა, რომლის საწვავით მომარაგება მოხდება არსებული გაზმომარაგების გარე ქსელიდან

19. სასადილოსთვის გათვალისწინებული იქნას გაზმომარაგება არსებული გარე ქსელიდან.

20. სპორტული დარბაზისთვის გათვალისწინებული იქნას ინვენტარის შესანახი ოთახები.

გასახდელები მოეწყოს ცალკე-ცალკე გოგონებისა და ვაჟებისთვის სანკვანძებით და საშხაპეებით.

21. გათვალისწინებული იქნას თითოეულ სართულზე საკუჭნაოები სამეურნეო იარაღებისთვის.